



# მშატრიკი სხოვრებამ

1910 სათაყვანო სალიტერატურო აქურნალი № 39

კვირა 3 ლვინობით.

ფანი 10 კაპ.



DOULEUR  
DE LA  
GEORGIE



მწუხარე საქართველო — ილიას ძეგლი  
ქანდაკეზ ი. ნიკოლასის



№ 39

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., კვლავ წელიწადში  
კე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება  
დრ. სახ. კანტორაში იოსებ იმედაშვილთან  
თიფლის, რედ. „Театри да Цховреба“  
Иос. Зах. Имедашвили.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდებ-  
ა.—ხელთაწერები საჭიროებისამებრ შეს-  
წორდება.—რედაქტორთან პირისპირ მო-  
ლაპარაკება შეიძლება შუადღის 12—2 ს.  
და საღ. 6—7 ს. ტელეფონი № 862.

№ 39

კ ვ ი რ ა , 3 ლ ვ ი ნ ო ზ ი ს თ ვ ე

1910 წ.

**3 ლვინოზისთვე 1910 წ.**

**სიმშვენიერე** ჩვენი ეროვნული თეატრის და **სისრულე**. აღორძინებას ახალი ხანა დაუდგა — თბილისში, ქუთაისში, ხონში, ჭიათურაში, ბაქოში უკვე მუდმივი დამოუკიდებელი საზოგადოებანი თუ არა, წ. კ. ს-თან დამოკიდებული ჯგუფნი მაინც მუშაობენ სასცენო ასპარეზზე; მოქმედებას იწყებენ თელავში სიღნაღში და სხვ. თბილისში ქარ. დრამ. საზღის გარდა, დამოუკიდებლად მოქმედებს სახალხო სახლის „წრე“, ამ დღეებში დაარსდა ოფიციალურად „ნაძალადევის“ ჯგუფი და ავლაბრის ჯგუფმაც შუამდგომლობა აღძრა შემუშავებულ წესდების დასამტკიცებლად.

ქართული სცენა ფართოვდება, მაგრამ ეს გაფართოვება მხოლოდ გამრავლებით არ უნდა გამოიხატოს, არამედ თან უნდა სდევდეს სისრულე და სიმშვენიერე.

დროა დავიწყებას მიეცეს წარმოდგენების ისე მართვა, როგორც მას ჟამსა შინა იყო: უხეიროდ, თან - შეზომილების დაუცველად; მსგავსი წარმოდგენები თეატრისკენ შეგნებით მიდრეკილ ხალხს გემოვნებას შეურყვნის და სარგებლობის მაგიერ ზიანს მოუტანს, როგორც აუდიტორიას ისე ხელოვნებას...

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართ. დრამატ. დასმა პირველ ოქტომბერს ნ. შიუკაშვილის „სიმახინჯის“ წარმოდგენის დროს საგნებით მიახწია სრულყოფისა და სიმშვენიერის პრინციპის განხორციელებას: ორიგინალური, ჩვენის ცხოვრების გამომსახველი ახალი პიესა, მსახიობთა შეთანხმებული თამაში, რომელთაგანაც ვერ გამოარჩევდით, რომელი რომელსა სჯობდა როლის შეგნებით, მიზანსცენათა ცოდნით, პსიხოლოგიურ მომენტების განცდით და სხვა. ყველაზე სანუგეშო ისაა, რომ ამ სა-

ლამოს ახალგაზდობა იღებდა მონაწილეობას და გაიმარჯვა კიდევ თავის რეჟისორით... არ შეგვიძლია ამავე მოთხოვნილებით არ მივმართოთ ქუთაისის თეატრის მესვეურთა და ახალგაზდა რეჟისორთ, რომელთა ცოდნასა და ძალაში დარწმუნებულნი ვართ; ამასვე ვსთხოვთ სახალხო სახლის წრეს, ნაძალადევის და ავლაბრის ჯგუფთა და სხვათა, რომელნიც ქართულ სასცენო ხელოვნებას ემსახურებიან, რომ აღარასოდეს არ შელახონ მაყურებელთა ესთეტიური გემოვნება და ხელოვნების პრინციპი: სიმშვენიერე თვით სიმახინჯე-მანკაეურებათა გაპიროვნებაში და სისრულე — აი, რას მოვითხოვთ სცენის ყოველი მუშაკისაგან...

ვიმეორებთ განახლების ხანა უკვე დაუდგა ქართულ თეატრს და ვინც ზემორე თქმულ დედა აზრს არ დაიცავს, იგი იქნება უდიდესი შემცოდე ავაზაკი კერძოთ ჩვენის თეატრისა და საზოგადოდ ხელოვნების წინაშე...



ქართ. დრამ. დასის მსახიობი  
**ნ. დავითაშვილი**

# პ ა რ ო ლ ი

დილის სიო არხევეს ნელა,  
 დიადი მზე სხივებს სტყორცნის,  
 თან ფრთა-ჭრელი მას პეველა  
 დაფარფატებს... ჰკოცნის... ჰკოცნის.  
 დაბლით ია ელიძემა,  
 ბუჩქის ძირში მინაბული,  
 ბულბული-კი გრძნობით ბნდება  
 ეშხით მოფრალი, მოხიბლული.  
 და შორს ისმის უცხო ჰანგი,  
 ხან ტკბილი, ხან გულის მდავი.

ნაზ ფოთლებზე ტოკავს ნამი,  
 მზისა სხივი ელდათ ეცა,  
 გარდავიდა მისი ჟამი  
 და... დაგორდა, ძირს დაეცა.  
 დაეფრქვია მკენესარ მიწას,  
 ბალახებზე გაიფანტა,  
 სიმწუხრის ცრემლს, ცრემლს კაცისას  
 ზეცის ცრემლიც მიემატა.  
 და როს იწყო ვარდმა ფშვინვა,  
 მას თან მოჰყვა სოფლით გმინვა.

სტკნება ვარდი... მის სურნელი,  
 შორს იბნევა, მიაქვს ქარსა,  
 თან ბუჩქს უმღერს საზარელი  
 სულთათანას, გლოვის ზარსა.  
 ყოველი მხრით: აქაც, იქაც  
 სევდა დაჰქრის და დაფრინავს,  
 ქართან ერთად გმინავს მიწაც,  
 სიხარულს კი სძინავს... სძინავს.  
 და კვენეს, ოხრავს მგონის ჩანგი  
 შორს, შორს ისმის მწარე ჰანგი.

## 6. ჩხიკვაძე

ანატოლ ფრანსის აზრი ფრანგ დრამატურგებზე  
 ამას წინადა უყრნაჲ „Comedia“-ს ერთ-  
 ერთ თანამშრომელს უსაუბრნია საფრანგეთის გამო-  
 ჩენილ მწერად ანატოლ ფრანსისთან საზოგადოდ თე-  
 ატრსა და კერძოდ ფრანგ დრამატურგებსე.

რაც უთქვამს ანატოლ ფრანსს, შეიძლება ეკუ-  
 ლაფერში არ დაუკთახნხმით, მაგრამ, როგორც  
 გამოჩენილი მწერლის აზრი, მაინც მოგვეყვას:

— თუკილადა ჰგონათო, რომ მე თეატრი არ  
 მიყვარსო, — უთქვამს მას — სუ თუ შესაძლებელია  
 უკუღებულს ჰყო ის დარგი ხელაფნებისა, რომლი-

სათვისაც მოღვაწეობდნენ ესხილა და მისი  
 ის ასწარეხი, რომელმაც ისეთი მსახურები  
 ქმნა, რომლის უმადლესს და უსრულესს ვერას შე-  
 იქმნა ჯდომანის გონება. მხოლოდ ეს კი უნდა ვთქვა,  
 რომ საფრანგეთში ეს დარგი ხელაფნებისა XVII საუკ-  
 შემდეგ დიდად დაეცა და ზოგ გამოჩანკლის გარდა  
 თანამედროვე დრამატურგთა საფრანგეთის მეტად  
 დაბლას სდგას. იმ დროს, როდესაც ლიტერატურის  
 სხვა ნაწილებმა მეტად გააზრებულეს და გააღრმავეს  
 თავიანთი შინაარსი, გაიფართოვეს თავიანთი ასწარე-  
 ხი, დრამატული ხელაფნება მთელი სიმა სუკუ-  
 ნეა, რაც ერთსა და იმავე წერტილზედა სდგას,  
 როგორც შინაარსის დარსებით, აგრევე გარეგანის  
 სხეულის, სტილის მხრივაც. ახალი დრამატურგთა  
 ძველთან შედარებაც კი არ შეიძლება. სუ თუ შეი-  
 ღებეს, უკეთუ მართლაც მუშტრის თვალთ გააზრებოთ,  
 რასინის ჭარბმანოულ ქმნილებათა და დიუმ-შვილის  
 გასწარურებულ მრავალ-სიტყვაობას შუა ერთი ზა-  
 რაღელი გაიყვანათ?!

— რაც შეეხება XVII საუკ. დრამატურგებს, მათი მო-  
 რის უმადლესე უცხო დედისული მსტერის სიტყვა-  
 სა კარნეღია. ამ მხრით იგი თვით რასინსაც მა-  
 ლას სდგას, თუმცა რასინი დედი და დრამა  
 მტადნეა კაცის სულის ვითარებისა. კარნეღის რა-  
 მადლებს მუდამ გამწნეგ რუანში მცხოვრებთა გონი-  
 ერ სახეს; რასინის ლექსებში კი სტატისტიკის  
 თვით გული მთელი ქვეყნიერებისა.

მთლიერზე კი შემდეგი გამოითქვა თურმე  
 ანატოლ ფრანსისა:

— მთლიერის მნიშვნელობას უარს არ ვყოფი  
 მაგრამ ეს კია — დრამატურგთა დაცემა, ჩამოქვეი-  
 თება მისგან იწყება. მას შემდეგ მთელს ერთს სა-  
 უკუნეს უნდა გადახტეთ — იმ საუკუნეს, რომელ-  
 შიაც კაცობრიობამ ხელი მიჰყო თავის ძველ რწმე-  
 ნათა შერეუვას და თავის საფუძველთა დაზღვევას —  
 და მხოლოდ მას შემდეგ წავაწყდებით ზიროველ ხა-  
 რისხივან დრამატურგს — ბომარშესა. ბომარშეს შემ-  
 დეგ კი იწყება ხანა გადაზრეხილ რომანტიზმისა.  
 ზირდათო მე ჰიუგოს დრამები კარაკარტურებთა შე-  
 ხეენება. თითქო დიდს სიამაფნებისა გრძნობდა ეს  
 კაცი, რომ თავისა თავის ზარდაღებისა სწერდაო.  
 იგი მოქმედების უაღბლად ქმნის, გრძნობების აზვი-  
 ადებს, ცრუ და ეაღბ ანტიტეზებს ასხამს ერთი შე-  
 არეზე, ეფუძელავე კეთილ-გონიერს ზურგს აქცევს  
 და მუდამ-ვამ შეურაცხ-ყოფას აქენებს განებოს, გე-  
 მოფნებას და ადამიანობას. მეც ხშირად ვეკითხები  
 ხუმს თავს — ანა როგორ შეიძლება ეველას ამ სი-

საქართველო  
საბჭოთაო

სულელეების მისმენა და ურეკა-მეთქი. ვოველის მხრით ვინააღობ ავტომატურად „კონსენს“-ს ან „რეინტენსი“-ის წარმოდგენას. ვაქტორ ზიუგო დიდებული ხელაფანაა ფარმისა, მსკენიურა მსატ-ვარი სიტუაციის თავის ღირიულ ნაწარმოებში, მის-ლად მისი დრამები კი ეკვლა მის თავისინის-მცემ-ლებს, რამდენადაც კი შეტყუებით სავი გონება, სი-წითლესა ჰგონის და არცხეხს.

— თანამედროვე დრამატურებზე კი, ანა რა გითხროთ? განა შეიძლება ავტორს დრამების ალ-ტრატებისა მოიფანოს მსმენელი? ამ თითქმის შეწ-რამდლის-მეორ შეითხულებს დრამების! ავი მტრად ტლანქის და დანაღ ღირსების დრამების თხზავს ამ გვარისავე მსმენელისათვის. ან კიდევ დიუმ-შე-ლის ტენდენციური ზიესები! რას გუანას!

— ლაბიაში მართალია სინთა ავტორი, მკრამ იმავე დროს მტრად უბრალდა და გულ-უბრევიდა. მისეიურ დრამატურებისათვის, რამდენადაც დიდი ბაღმა არ აწეეს გულსა, მტრად ადვილი რამ არის ბურჟუას მცირეაღეს სისულელეების დასწინოს ხო-ლმე. ისე სწავდაღათ კი, დღეს დღეობით დრამა-ტიულ ნაწარმოებთა რიცხვი დღითა დღე მტუ-ლობს, მხოლოდ ეკვლანი კი ხელ-ახლა ერთსა და იმავე ამბავს მოგვიბრძობენ ერთსა და იმავე, უკვე გამეფებულს მეთაღითა, ახლის სავებავით და ფერებით გვიქარგვენ ისევე ძველ სხეებსა. ამათ შორის ეკვლავს უფრო შესამწევი დრამატურისა-ფრანკეთში ისევე ხოლ ერთევა, ის ნამდვილ გნება-თა დელავს და გულის თქმათ მანც გამაგვრემს; მათ შეგახებთა და მათი ბრძოლის ამბავს გვიხა-ტავს.

დასასრულ ანატოლ ფრანსის არ სწამს, რომ თეატრს დიდი რამ გავლენა ჰქონდეს ცხოვრებაზე. — დრამების შექმნები — უთქვამს მას — მუდამ სწავდაღების აზრს, ხებით თუ უხებღათ, კმარხილებიანა. დიდებული იდეები მათის წარმო-შობიდან მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ მის-წინთ ხოლმე. ასე, რომ ზირველ ხანებში შეიძლე-ბა სრულიად შეუმწეველნიც კი დაწინებ. რადესაც ზარბელები რეველიუციონურ ზიესებს ტაშს უგრავენ, ისინი თავისუფლების იდეას კი არ უხვდებიან ესე-ზეიმათა. ისინი მხოლოდ იმას უგრავენ ტაშს, რა-მაც ისინი ააღელვას და გამოიწვიას მათი სიცილი ან ცრემლები.

შ—ანი



მწუხარე საქართველო — ილიას ძეგლი  
ქანდაკება ი. ნაკალაძის

გახსენება თეატრის შესახებ

(დასასრული. იხ. ,,თ. და ც.“ № 35—38)

ერთხელ სეზონის მიწურულში ქუთაისს ჩავედით ჩვეულებრივად. იმ დროს საბანკო კრება იყო და მთელი იმერეთი ქუთაისში იყო. დავიწყეთ წარმოდგენა და ზედი-ზედ თერთ-მეტჯერ ვითამაშეთ და წმინდა შემოსავალი დარჩა ხუთას თერთმეტი თუმანი. ჩემს ოცნე-ბას საზღვარი აღარა ჰქონდა. მე ფიქრობდი რომ, თუ ასე წავიდა საქმე, მერმისისათვის არ-ტისტებს ჯამაგირს გავუორკვეცებ და სათეატ-რო სცენაც, შეიძლება, გაიმართოს მეთქი. მაგ-რამ ჩემს ოცნებას მალე შეეკვეცა ფრთები: არტისტებმა, გარდა შიშნიაშვილისა, ერთხმად გამომიცხადეს, რომ ანტრეპრიზას აღარ ვემორ-ჩილებით და ჩვენდა თავად გვინდა შევადგი-ნოთ ამხანაგობაო. მიმატოვეს და წავიდენ თბილისს. მიზეზად ის მომიდევს, რომ ჯამაგი-რი არ გვეძლევაო. მე მაშინვე მივიტყერი ხაზი-ნადართან, რომელიც ვალდებული იყო, ჯა-





მაგირი დაერიგებია ხოლმე და დავთარში ხელი მოეწერიებია არტისტებისათვის.

— ამ თვის ჯამაგირი არ მიგიცია?—დავეკითხე მე.

— როგორ არა.—მიპასუხა.

— აბა მიჩვენე დავთარი!

— დავთარი დამეკარგა.

— როგორ თუ დაგეკარგა? ახლა ხომ უფლება აქვსთ არტისტებს, თუ უნდათ დაამტკიცონ, რომ ფულს არ იღებდენ?!

— არკი თქვენ ამოწმებდით ხოლმე ყოველთვის, რომ ვაძლევდი?!

— მაშ შენ შეგიძლია დაამოწმო, რომ მიღებული აქვს?

— სიტყვიერათ კი, მაგრამ საბუთით ვეღარ.

მივხვდი, რა ამბავიც იყო და გავჩუმდი, მეტი გზა აღარა მქონდა. ბევრმა დაიჯერა, რომ არტისტები ჯამაგირს არ იღებდნო.

ერთხელ ჩემი ხაზინადარი შემოვიდა ჩემთან და გამომიტყდა: „დავთარი არ დამეკარგა, მე მაქვსო“. და გადმომცა დავთარი.

მე მაშინვე გავეჩანე „დროების“ რედაქციისაკენ და ვსთხოვე მესხს, რომ არტისტები შეეყარა რედაქციაში და დაეპირდაპირებია ჩემთვის. დანიშნულ დროზე ყველამ თავი მოიყარა და როდესაც მე დავეკითხე: მართლა არ მიგიღიათ ჯამაგირი მეთქი? მხოლოდ საფაროვის ქალმა და ვასო აბაშიძემ სთქვეს: ჩვენ არა დაგვკლებიარაო, დანარჩენებმა კი უარი განაცხადეს. მაშინ გამოვაჩინე, მანამდი დაფარული დავთარი და გამოჩნდა, რომ არა თუ რაც ერგებოდათ, ზოგიერთს წინა თვისაც კი ჰქონდა მიღებული, მხოლოდ ალექსანდრე ყაზბეგს აკლდა თხუთმეტი მანეთი და ისიც მიტომ, რომ „კოლხიდაში“ გამომართვა სამ თუმან-ნახევარი.

ამებს ყოლიფერს თურმე მეორე ოთახიდან ყურს უგდებდა რედაქტორის მეუღლე, ეკატერინე მელიქოვისა. გამოვარდა გაფითრებული და მიჰმართა არტისტებს, მე არ მეგონა თუ მაგას იკადრებდითო: ახლა რაღას ეტყვიო ამ თქვენ ხელმოწერილ დავთარს? არტისტებმა ბოდიში მოითხოვეს, მაგრამ მე კი მაინც იმ დღიდან ჩამოვშორდი ქართულ თეატრს სამუდამოდ.

ამ რამოდენიმე წლის წინეთ კი, კომიტე-

ტის თავ-მჯდომარემ, ნიკოლოზ ქვინაძემ, შევიღმა, რომლისაც დიდი პატივს სცემს მამქვს მომწერა, რომ ერთი სეზონის განმავლობაში, რეჟისორობა მეკისრა და მეც ხათრი ვეღარ გაუტეხე. იმ სეზონში პირველად გამოვიდნ სცენაზე შალიკაშვილი, დავითიშვილის ქალი და სხვანი. ჩემმა რეჟისორობამ სარგებელი ვერაფერი მოუტანა რა თეატრს და არც მოსახერხებელი იყო მისი მოტანა. ბევრ სხვა და სხვა მიზეზების გამო, მაგრამ პირადად მე კი დავრწმუნდი, რომ ჩვენ ქართული თეატრი არა გვაქვს, მხოლოდ სხვებსა ვბაძვით და იმ მიბაძვაშიაც ბევრი არა ჰყრია-რა.

აქ საჭიროა მიზეზების ჩამოთვლა, მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ ვუყურებთ ამ სეზონსაც და მერე, თუ მივაწიეთ მანამდი, ჩამოვსთვლით მოუჩინებლად.

Handwritten signature or initials.

### ლოცვა

(კოლცვისა)



უფალო, ჩვენო მეუფევ! წმინდა არს ჩემი რწმუნება, ვითა „ლოცვისა აღია“, მაგრამ წყვდიადი სამარე რწმუნებასთანაც მწყარალია. ვერ იმოქმედებს იქ სმენა, ვერც დახუჭული თვალია, გულის ფეთქა და სიცოცხლე საუკუნოდ გამქარალია.


წმიდა ჯვარი და სამარე, ცის კიდე და მთლად დუნია შემოქმედის შემძლე ხელით კრეტსაბმელით გაბმულია.

კაცი, მხეცი, მათ ცხოვრება, მათი არსი და სულია ზეგარდმოს განგებითა საიდუმლოთ მოცულა.

ვერ ვინ შესძლებს მის დარღვევას, ვის ღმერთმა მისცა სული, ვერც კაცი და ვერცა მხეცი, ვერც ცეცხლი აღგზნებულია.

შეიწირე, შემოქმედო, ჩემი ლოცვა და გულია, სიყვარული მხოლოდ შენი წმიდათ მაქვს დამარხულია.

მღ. ფილა





სხადგავდა მსახიობი  
ბუღუ მდივანი

### დასავლეთ ევროპის ლიტერატურა

ხანა კაპიტალიზმის აღყვავებისა  
(გაგრძელება. იხ. № 37)

კაპიტალიზმმა შესცვალა როგორც ადამი-  
ანთა საზოგადოებრივი, ისე სქესობრივი ურ-  
თიერთობა, როგორც ფიზიონომია საზოგადო-  
ებისა, ისე შინაარსი და ფორმა სიყვარულისა.

იმის და მიხედვით, თუ რავდენად ვითა-  
რდება კაპიტალიზმი, ბურჟუაზიულ წრეებს  
შთამომავლობის შემცირება ემჩნევა. მეცხრამე-  
ტე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ინგლი-  
სის, ბელგიისა და გერმანიის მცხოვრებთა რი-  
ცხვი თითქმის ოთხი პროცენტით კლებულობს.  
საფრანგეთში, სადაც ზემოხსენებული პროცესი  
სხვა მიზეზებისა გამოც რთულდებოდა, იყო  
წლები, როდესაც დაბადებულთა რიცხვი მიც-  
ვალებულთა რაოდენობას არ აღემატებოდა. ასე  
რომ ბერტილიონს ჰქონდა უფლება, ლაღად-  
ეყო: „საფრანგეთს ბოლო ედება!“ თვით ზო-  
ლაც მართალი იყო, როდესაც თავის რომა-  
ნის „ნაყოფიერების“ გმირის — მათიუ ფრომა-  
ნის პირით ამბობდა: „უფალო! პარიზი სიკვ-  
დილს აპირებს!“ მეცხრამეტე საუკუნის მეორე  
ნახევარში დასავლეთ ევროპის ყოველ კუთხეში  
ფეხს იკიდებს მალტუზიანობა. სამოცდაათიან  
წლებში ინგლისში იბადება რთული ლიტერატ-  
ურა ამ საკითხის გამოსარკვევად, სდგება „მა-  
ლტუზიანელების ლიგა“, რომელიც თავის მა-  
ნიფესტის საშუალებით აცხადებს, „ის, ვინც  
აჩენს იმდენს შვილს, რავდენისაც ჯეროვანი  
კვება და საპატო ადზრდა არ შეუძლია, დიდს

სოციალურ დანაშაულს ჩადის.“ ზოლას  
მანში „ნაყოფიერების“ მსხვილ კაპიტალიზმს  
ბოშენს არა სურს ბევრ მემკვიდრეობისათვის დაა-  
ხურდაოს თავისი დიდი შეძლება. ამ მიზნით  
თავის ოჯახს იგი ერთი შვილის მეტს არა სძენს.  
როდესაც ბოშენი იგებს, მუშა ბუანოს ათი  
შვილი ყავსო, გესლიანად ეკითხება: „თქვენ  
გიკვირთ, რომ საჭმელი არა გაქვთ — რა?!“ მსხვი-  
ლი ბურჟუაზიას არც წვრილი ბურჟუაზია ჩამო-  
რჩა. ბრიეს პიესაში „Petit amie“ ტანისამო-  
სის მალაზიის პატრონი, რომელსაც მხოლოდ  
ერთი შვილი ჰყავს, შემდეგის მოსაზრებით  
ხსნის ამ გარემოებას: მას და მის ცოლს არ სუ-  
რდათ წაეხდინათ თავისი ცხოვრება, და მათი  
ერთადერთი ოცნება იყო, შვილისათვის ბრწ-  
ყინვალე მომავალი შეექმნათ.

შთამომავლობის ხელოვნურ შემცირების  
ამ პროცესმა, ბურჟუაზიულ წრეებში გამეფე-  
ბულმა, ხელი შეუწყო ათასგვარ სქესობრივ  
ანომალიის წარმოშობასა და განვითარებას.  
ამგვარ ანომალიას წარმოადგენდა მამაკაცთა  
შორის სიყვარული.

ინგლისის საზოგადოებაში მალტუზიანო-  
ბასთან ერთად ბერძნული სიყვარული გამეფდა,  
რაიც გამოაშკარავდა ინგლისელ პოეტის — კა-  
ტორგით დასჯილ უალდის პროცესით: საფრან-  
გეთში მდიდარ ბურჟუაზია შორის ბევრია მომ-  
ხრე მამაკაცთა შორის სიყვარულისა (ჰომოსე-  
ქსუალიზმისა), როგორც მოწმობს ზოლას  
რომანი „პარიზი“. მოიპოვებინ აგრდევ ამ სი-  
ყვარულის მქადაგებელნიც, მსგავსად რომანის  
„აფრადიტას“ ავტორის პ. ლუისისა.

მეორეს მხრივ, შთამომავლობის ხელო-  
ვნურ შემცირების პროცესმა შექმნა ფიზიკურ  
სიყვარულის უარყოფა, პლატონიზმისა და ას-  
კეტიზმის აყვავება. შევციელ მწერლის ოლა  
ჰანსონის კრებულის „Sensitiva amorosa-ს“  
ერთის მოთხრობის გმირნი: ქალი და კაცი არა-  
სოდეს არ დალაპარაკებოდენ ურთი ერთს;  
მთელი მათი სიყვარული განისაზღვრებოდა  
იმით, რომ ისინი ხანგრძლივ იხსდნენ ზღვის  
პირად და სიჩუმით მოკუთლნი შესცქეროდენ ერთ-  
მანეთს თვალეებში. „არავითარი ფიზიკური კავ-  
შირი — დასძენს ამას შესახებ ავტორი — იქ-  
ნებოდა ისეთი იდუმალი, როგორც იყო ამ  
ორი არსებათა შეკავშირება. ამათი გრძობანი  
და აზრნი, გადახლოართულნი, ნაყოფსყოფდნენ  
მათ.“

შვეციელი მეორე მწერალი ჰეიდენსტამი ფიზიკურ სიყვარულს ბრჭყალებით აღჭურვილს ფრთოსანს დრაკონს, ან ეგვიპტურ ღმერთის ქატორის ხატებას უღარებს. ჰეიდენსტამი უფრო შემადრწუნებელ სიმბოლოს ეძიებს: ძველთაგან ძველს ეკლესიაში ჰკილია სურათი. ამ სურათზე დახატულია ეშმაკი, თხის თავით. ეს ეშმაკი ცეცხლის ორთითზე წამოცმულს ადამიანს ატრიალებს, ხოლო თავით ადამიანი ისეა წელში მოღუნული, რომ ხელის თითები ფეხის გულსა სწვდება. ეს ეშმაკი — სიყვარულია: მეორე მოთხრობაში ჰეიდენსტამს გამოჰყვავს ახალგაზდა, რომელიც უარჰყოფს ხორციელ სიყვარულს, ხოლო თავის სატრფოს უსხეულო აჩრდილად, იდეალად ისახავს. ხანდახან იგი იწვევს სტუმრებს, უჩვენებს ცარიელ სკამს და ეუბნება მათ: „აი, აქ ზის ჩემი ცოლი, რომლისთვისაც სიბერე არ არსებობს. ჩვენს შეუღლებაზედ ბედნიერი არა-რა არსებობს ქვეყანაზედ. საღამოთი ლამპის შუქზე ვუკითხავ მის სადიდებლად შეთხზულ ჩემ ლექსებს. როდესაც მე მოკვდები, იგი ყოველთვის, მშვიდი და წყნარი, სასთუმალთან დამიჯდება.“

საფრანგეთის ახალ ლიტერატურაში ხშირია ასკეტები — განდევნილები, რომელნიც ქვეყნიურ სურვილთ თავს ანებებენ და მონასტრისაკენ მიემშურებიან (გიუისმანსი „გზაში“); ხშირია მამაკაცი, რომელსაც ქალის უსულო მანეკენი უყვარს (ვილიე დე-ლილ ადანის „მომავალი ევა“); ხშირია სიყვარული ვარდისადმი (მოპასანი „ცოლ-ქმრის გაყრა“); ბევრი „მისტიურ ქორწინებაზე“, „ორსულის კოცნაზე“ და „ტვინით შეუღლებაზე“ ოცნებობს (პრევა „ლეა“). ზოლას სიტყვით, ლიტერატურასა და მხატვრობაში ჰბატონდება „უსხეულო ქალი, რომელიც აჩრდილივით დნება საყვარელ მამაკაცთა ხვეწნაში.“ ე. როდის რომანის „სიკვდილისადმი ლტოლვის“ ერთი გმირი ამბობს: „დაე, უკანსკნელი მამაკაცი და უკანსკნელი ქალი მოკვდეს ქალწულობრივ სიბერეში; დაე, ისინი მოკვდნენ, გამხნევებულნი იმ დღიად აზრით, რომ ქვეყანაზე მათან ერთად მოისპობა შეგნებული სიცოცხლე.“

თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებაში ბურჟუაზიულ ოჯახის ქალი ძალიან ძნელად თხოვდება, ვინაიდან ერთის მხრით არ-

სებობისათვის გამწარებული ბრძოლა ნებას არ აძლევს მამაკაცს, ცოლი ითხოვოს, ხოლო მეორის მხრით მანქანამ შეამოკლა ქალის ოჯახურ შრომის სფერო და მით მნიშვნელობა წაათვა ქორწინებას, როგორც სამეურნეო დაწესებულებას. თუ გაუთხოვრობა ქალისთვის აუცილებელი შეიქმნა, ფემინისტ-ქალებმა იგივე გაუთხოვრობა იდეალად დაისახეს. ესენი ქალებენ მამაკაცისადმი შეგნებულ შულღსა. ახალ ლიტერატურაში ხშირია მდომარი ამაზონი-ქალები, როგორც მარსელ პრევეს რომანის „ლეას“ გმირები: რომენ პირინცი და ფრიდერიკა სურიე. ამ უკანასკნელთ მიზნათ დაისახეს აღაზარდათ მოზარდ დედათა თაობა ისე, რომ მას არ დსკირებოდა მამაკაცთა არც ფული და არც სიყვარული. ხშირად ფემინისტ-ქალების მტრობა მამაკაცებისადმი რაღაც პათოლოგიურ სენის ხასიათს ლებულობს. ასე, არსენიევის რომანში „უფლება-მოპოვებულ ქალის დღიურში“ გმირი-ქალი შფოთდება, როდესაც ახალგაზდა ყმაწვილი კაცი მუხლთმოყრილი სიყვარულს ეფიცება, იმდენად შფოთდება, რომ სცემს, ხელზედ ჰკბენს. ხოლო როდესაც ახალგაზდა კაცი იატაკზე ვარდება, ქალი ისე მძლავრად ადგამს გულზე ფეხს, რომ ძვლების ტკაცა-ტკუცი ისმის.

(დასასრული შემდეგ)

**პეტრე დაღვაძე**



**მ ლ ე ბ ი ა**

კლდის პირასა ვარ... გრძნობებსა ვმონებ. ბუნებას ვუსმენ... ჰფრენს აღმაფრენა, ლერწამი რხევით ამბორს მიგზავნის, ჰიმნად მეკმევა ბულბულის სტვენა.

\* \*

ველი მკერდს მიღელს... ნამი მიცინის; ტყე თვის წიაღში მეპატიევა, ბუჩქი თავს მიკრავს... სვია ყლორტს მახვევს, ვარდი სუნს მაფრქვევს და მეღიმება.

\* \*

ყვავილნი ნექტარს მიზიარებენ, ცის კამარიდან კრემლს მაფრქვევს მთვარე, კაცთა ფერხულში მეხუთის სული... ვაგლახ! სიცოცხლე მწარეა... მწარე...

კიკნა-ფშაველა





უიიბრკოლენ...

შეიბრძოლენ!

ზეცით მონაბერი ჰენიოსობა, ნიჭი, ტალანტი და... ტლანტი, მოუხეშავი ძალა და ღონე.

ღონე და ტალანტი!

შეიბრძოლენ!

—ტყუილად ხტუნაობ... რათ იწუხებ თავს, ხომ იცი ვერსად წამიხვალ! თუ გავგულისდი —გაგჰყლეტ, გაგსრესავ... ჰო და ამიტომ დაწყნარდი, მოისვენე, თანაც მიფრთხილდი, თორემ...

ეუბნებოდა ტლანტი ღონე მოქნილსა და ნათლით მოსილ ჰენიოსობას, რომლისთვისაც მას ხელი მოეხვია და ძარღვებით დაბერილ მკლავებში გათანგული ჰყავდა.

ნიჭი, ტალანტი თავისას მაინც არ იშლიდა! თითქო არც გაეგონოს.

ის, მოქნილი და ჰაერსავით მსუბუქი, თან და-თანობით თავისუფლდებოდა და მკერდამდის თავი გაინთავისუფლა.

გულმოსულმა ტლანტმა ძალამ მაგრათ შემოუჭირა თავისი ღონიერი მკლავები ნიჭსა, ტალანტს...

— დაგამხვრევ... გიჯობს იყუჩო... ნუ მეურჩები. ხომ იცი მე ხუმრობა არ მიყვარს... ხა, ხა, ხა...

სასაცილოა!

რადგან ტალანტი წელს ზევით უკვე განთავისუფლდა.

—აა, არ ისვენებ? გინდა გამეჩქე? უბედურო, წელში გაგწყვეტავ...

და ტლანტმა ძალამ წელს შემოარტყა ლომებრ ძლიერი მკლავები.

ტალანტი მსუბუქად შეინძრა და ფეხებამდის განთავისუფლდა.

ოო, რა საშინელი ხმა მოისმა...

შებლავლა ტლანტმა ძალამ და ღონემ.

— საზიზღარო, არ გამიგონე? მოგსობ, თავს გაგჰყლეტ...

და ფეხებში სტაცა თავისი ღონიერი მკლავები, რომ მსუბუქი ჰენიოსობა, ნიჭი, ტალანტი ერთის მოქნივით გაენადგურებინა, მაგრამ... ხა, ხა, ხა...

სასაცილოა!

ტლანტმა ცის სივრცეში თავისუფლად გაინავარდა, მხოლოდ ტლანტი ძალა და ღონე კი საშინელის ძლიერებით ძირს დაემხო, მიწაში მკლავები ჩაეფლა და აუტანელი ტკივილების გამო საზარლად იკლანკებოდა და კვნესოდა...

კვნესოდა შემადრწუნებელის ხმით და ველარ ბედავდა შეეხენდა ცის სივრცეში თავისუფლად მონავარდე ტალანტისათვის.

ხა, ხა, ხა...

მოუხეშავი ძალა და მოქნილი ტალანტი შეიბრძოლენ! სასაცილოა!...

ვანო ბარველი



რუსულ დრამატულ დასის მსახიობი და ანტრეპრენიორი ვ. ი. ნიკულინი

აქამდის თეატრი თუ მხოლოდ შექმნულ-თათვის იყო ხელმისაწვდომი და მარტო კასართობად ითვლებოდა, ახლა სკოლათ გარდაიქმნა ჩვენი ცხოვრებისა და სწავლის მწვერვალე ხალხიც მას ეტანება.

ადამიანში კადუიქიულოა ესტეტური გრძობა, სულიერ დატკობის, კანების გამსხველი მხატვრულ ნაწარმოების ხილვის სჭიროება; აუცილებელ, სჭიროებათ გარდაიქმნა სულიერი სხრდო; დიდი თუ მატარა გრძობის ამ მოთხრობილებას. თეატრების წინ გულხაწვეტილი სდგას მწვერვალე ღარიბი ხალხი და შეხატრის იმას, ვისაც შექმნა აქვს თეატრში შესვლისა.

ხალხის გულის ტკივილი იგრძნო ვ. ი. ნიკულინი, რუსულ დრამატულ დასის ანტრეპრენიორმა და მისხიობმა და თეატრი გააქმნა, ხალხს კარი გაუღო, ათაურთან დღიურ მუშისათვისაც ხელმისაწვდომი გახდა თეატრი, ხოლო ღარიბებისათვის კი მართავს უფასოდ წარმოდგენებს, ლექციებს; კარდაი ამისა, როგორც ჩვენს ჟურნალში იყო აღნიშნული, მწავლეთა და ჯარის კაცებისათვისაც განუძახავს ცალკე წარმოდგენების მართვა. ნიკულინი გულწრფელად ეტყობა ხალხის სულიერ მოთხრობილებას და არ იშურებს არც შრომას, არც შექმნას. ხალხის საკეთილდღეოდ მშრომელს დიდი მატავი და სიუყარული აქვს დამსხრობიული სხოგადობის მხრით, რის დირსიც, უეჭვლად, არის კიდევ.

ქრისტიანობის თეკში ნიკულინი აზიარებს თავის იუბილეის კადხდას და მაშინ შეკუქდება უფრო ახლა გავიცნოთ იგი, როგორც ხალხის გულწრფელი მეკობარი და ხელაგნების ტადრის დაუხარელი მუშაკი.

განხანი

# მ თ ვ ა რ ე

(გუძღენი ბ. გელას)

ცისა სივრცეში, ცის ლაყვარდში მიჰკრთის, მისცურავს,  
 ნაზათ მიაპობს დასავლეთით ცის კაბადონსა,  
 და ძირს ქვეყანას სხივებს აფრქვევს, ნათელით ჰბურავს,  
 აღარ იშორებს ამ სიუხვეს, მზით მონატყორცნსა...  
 სოფელსა სძინავს... დღიურ შრომით მოღლილ-მოქანცულს,  
 თავზე დაჰკივის ბუკიოტი, გულ-შესაზარი,  
 მშობელ მთა და ბარს სისხლით ნალაქს, ცრემლით მონამულს,  
 მიმოფრქვევა... ვით მწუხრის ჟამს ეს გლოვის ზარი...  
 ყვავილთ მგოსანი არ ჭიკჭიკებს, აღარ ფრიალენ,  
 ამ ნანატრს ღამეს არ შეჰხარის გულ-სედიანი...  
 შავი სატანა ძღვევის აღამს დააფრიალებს,  
 ჩვენს უბედობას დაჰხითხითებს სვე-ბედიანი...  
 იქ ცოცხალთ საფლავთ გარს უვლიან შავი აჩრდილნი,  
 სიკვდილის ძელსა აყუდებენ ცისა წიაღზე,  
 რომ მხნე მებრძოლნი, უშიშარნი ხალხისა შვილნი  
 ზედ ჩამოჰკიდონ, ჩამოახრჩონ დილის სისხამზე.  
 ჩაგრულთ უბანი, ჩაგრულთ კერა კვნესის, ქვითინებს,  
 შავი სიკვდილი თავს ევლება სულის მხუთველი...  
 ობოლი ჩანგი აღარა ჟღერს, აღარ წკრიალებს,  
 სევდას და ვარამს დაუბურავს ცხოვრების ველი.  
 მთვარე-კი ნაზათ ცის ლაყვარდში მიჰკრთის, მისცურავს,  
 ჰკვეთავს, მიაპობს დასავლეთით ცის კაბადონსა,  
 და ძირს ქვეყანას სხივებს აფრქვევს, ნათელით ჰბურავს,  
 აღარ იშორებს ამ სიუხვეს, მზით მონატყორცნსა!..

ბ. პელაშვილი



# ქ ა ლ ი დ ა ვ ა შ ი

(ერთ სურათიანი დრამატიული ნაწარმოები თანამედროვე ახალგაზდობის ცხოვრებიდან)

**თამარ,** ახალგაზდა ქალი.

**სანდრო,** ყმაწვილი კაცი.

ღარიბულად მორთული ოთახი საწერი მაგიდა. მაგიდაზე წიგნებია, საწერ-კალამი და სარკე, ოთახის ერთ კედელთან სდგას საწოლი ლოგინი. კედელზე მიკრულია სურათები. სამი სკამი და ერთი სავარცხელი. ოთახს ერთი კარი აქვს, კარის პირდაპირ კედელში ორი ფანჯარაა. თამარი უზის საწერ მაგიდას. მის წინ გადაშლილი წიგნია, რომელსაც არ კითხულობს. ნაღვლიანი სახე აქვს. ჩაფიქრებულია. ხშირად მიაყურებს შემოსვალ კარებს,—სჩანს ვიღაცას ელოდება. შემდეგ მოუთმენლობა დაეწყობა, ადგება და მივა კარებთან.

I

**თ ა მ ა რ ი**


**თამარი.** სად არის ამდენი ხანი? (მობრუნდება, ისევ საწერ მაგიდას მოუჯდება) ოხ, ღმერთო! ღმერთო! (კვლავ ჩაფიქრდება) არა! მას არა-

ფერი შეუძლია!! მისგან არაფერი გამოვა!! (სწრაფად აიღებს რეკუფს, გაშლის და ჩახედავს) რა მინდაო?.. (ცოტა ხანს თავისთვის კითხულობს) არა, არა მრწამს... (გაისურავს რეკუფს) სისულელეა! იქნება, ჩემი თვალის ახვევა უნდა?! (მწარედ) ეხ, სანდრო, სანდრო! რა უყავ ჩემს იმედებს!! (ზარი. თამარი შეკრთება. ცოტა ხანს შემდეგ მოაკაკუნებენ კარზე) მობრძანდით! (წავა კარებისკენ. შემადის სანდრო. ქუდი და ჯიხი ხელში უჭირავს სსაფხულად ზაღტომია) ჰო, შენა ხარ?

II

იგივე და **სანდრო**

**სანდრო.** გამარჯობა! (ხელს ჩამართმევს. ზაღტომს გაიხდის. ამოიღებს ცხვირსხატცს, გასწმენდს ზესხეს, გააკეთებს თვალებიზე და თამარის ხელად დაჯდება) რასა იქ?



**თამ.** (მაგიდას უზის და გადაშლილ წიგნში იყურება) რა უნდა ვქნა, შენი აზრით?

**სან.** (ზაუზის შექმდე) რა იცი ახალი?

**თამ.** (წინანდებურათ. შეკახეთ) არაფერი! (ზაუზს)

**სან.** (აღგება, გაიფლას, ზაღტას ჯაბიდან სხაპირსკეს ამოიღებს) ვანომ დღეს რეფერატი წაიკითხა!

**თამ.** (იმავე კიდეზე) მერე?

**სან.** (ეტეობა, თამარის კიდე ნერვებს უშლის) მეტი არაფერი!

**თამ.** (შეკახეთ) რა თემაზე წაიკითხა, თუ გაიგე? (ამ უკანასკნელ სიტყვას განსწავს ხასხუს უსვამს)

**სან.** (ძვას ატანს თავს, რომ მშვიდათ ილაზაკავს) თანამედროვე ფილოსოფიურ პრობლემებზე.

**თამ.** (წიგნს დახურავს, სარკეში ჩაიხედავს. აკლებუფად) შენ კი რასა შერებ?

**სან.** როგორ თუ რას ვშერებ?

**თამ.** (აღგება, წავა ღოგინისაკენ. მიმავალი) ჰო, რა უნდა ქნა? შენი ამბავი რომ ვიცი... (მიდის ბალიშთან, ასწევს, გამოიღებს წერილს, დაუბრუნდება მაგიდას და ჩუმად დაუწევს კითხვას. ზაუზს)

**სანდ.** დაანებე მაგას თავი!

**თამ.** (კითხულობს და ისე) ჰო, მართლა!.. უკაცრაოდ... უკაცრაოდ!..

**სანდ.** გეყოფა! კარგია!..

**თამ.** (თავისთვის) რა ადვილათ მოტყუებდა ადამიანი?!

**სანდ.** როგორც მაგ. შენ ჩემში, არა?

**თამ.** (ვირთვით კითხულობს) თუნდა ეგრეც იყოს!

**სანდ.** მართალი ხარ! (აღგება, ზაპირის მისწევს)

**თამ.** (ვითომ წერილიდან ამოკითხვას) და გაცხადდა) ხა, ხა, ხა! რა სულელია?

**სანდრ.** (შეჩერდება) რა ამბავია? ვინ გწერს?

**თამ.** (ეურადლებას ან აქცევს) ვინ უნდა იყოს შენის აზრით? წერილს წიგნში ჩადებს. სანდრა დადის. თამარი დაჯდება და კედელს დაუწევს ურუბას. ფიქრებში წასული, სკამის ზურგზე გადაწევს. სანდრ ნელის ნაბიჯით დადის ჩაიქრებული. ზაუზს). ოხ, ღმერთო ჩემო! (ამოიხრებს. თავს დახურავს. თავს უკან გადაწევს სკამის ზურგზე დადებს. სანდრა მივა და სკიდან დაჭეუებს თამარს. ის იგძნობს სანდრის მხერას, და თავდა-

ხუჭული კითხვას) ცული ვარ, არა? (სანდრა მას შიშობს და ისე ისე დაწევს სიარულს ზაუზს) არ მოგწონს განა ასეთი მოწყენილობა?

**სანდ.** მე ყველგან მოწყენა შემაქვს!

**თამ.** (უნდა უკბინოს) მეტი რა გეთქმის? წინეთ რომ ასეთი არ იყავ!

**სანდ.** (ზასუს ან გასტყვს. სიხუმე)

**თამ.** (თვალს განხედავს) ოხ, ღმერთო! რა უბედური ვარ!

**სანდ.** რითა ხარ უბედური? (მიუხედავება)

**თამ.** თავი დამანებე!

**სანდ.** რა გინდა, ქალო?

**თამ.** (თვალცრემლიანი აწითლებული შეხედავს სანდრას და ჩუმად, მაგრამ ძალდატანებით) სიკვდილი!

**სანდ.** (დაჯდება. ხმის კანკალით, გძნობით) თამარ, მითხარი, რათ წვალლობ აგრე? რათ იტანჯები? მითხარი, გამინაწილე შენი დარდები!.. მე ხომ შემძლია გაგიგო!

**თამ.** (გაწევს) არ შეგიძლია, არა!

**სანდ.** მაშ მე შენი მეგობარა არა ვყოფილვარ!

**თამ.** სამწუხაროთ არა!.. ამაზე მეტს, გთხოვ, ნუ ვილაპარაკებ!

**სანდ.** მაშ, მე წავალ! იქნება მარტო უფრო დაიმშვიდო გული!.. მართლაც და არც ასე შეიძლება...

**თამ.** (გაჭეუებს სანდრას, თითქმის მის გულში უნდა ამოკითხოს დაფარული აზრი)

**სან.** თუ ამოდენა ტანჯვას გაყენებ... თანაც უბედურსა გყოფ... წავალ... მოგშორდე...


**თამ.** (აწა ბუნებრივად) ხა, ხა, ხა! მომშორდები? ხა, ხა! ახლა მომშორდები? ყოჩაღ, სანდრო!!

**სანდ.** მაშ, მითხარი, რასა გავს შენი ყოფა-ქცევა?

**თამ.** (ცრემლიანი, ანთებული, ნერვებ-აშლილი კანკალებს) მომშორდი! წადი!.. რათ გაჩერებულხარ? წადი! მე არ გაკავებ! როცა ვიყავი ცოცხალი, ტურფა... ტუუ—რთა! (სანდრა გაშეშებულია) მაშინ ხომ მეაღერებოდი, მაშვიდებდი? მაშინ ხომ მეხვეოდი... მკოცნიდი?! მალმერთებდი?!.. წადი! რათ შეჩერდი?

**სანდ.** თამარ!

**თამ.** (გაცრცხლებული) მძულხარ! მეზიზღები! ჩემს თვალში შენ არარაობა ხარ!.. არარაობა! ხომ გესმის?!



**სანდ.** რა დაგემატა? დამშვილდი! სთქვი, თუ არ გინდა ჩემთან ცხოვრება, სიყვარული?! მითხარი და მეტი არა დაგჭირდება!!

**თამ.** (ტირის) რა ვქნა?.. წადი, წადი! (სწვერ მავადსე დაკუნდნობა თავით, და ნერვიუ- ჯად ქეთთანებს)

**სანდ.** (ცოტა ხსნა ან იცის რა ქნას, მერე მიბრუნდება ზალტასკენ) რომ ვაცოდე, რა გე- მართება?!

**თამ.** (შესვდავს, რომ ზალტას იღებს ხელში) ჰო, წადი! წადი სადმე მხიარულ საზოგადოე- ბაში! გაერთობი!! (წამადგება) არ გიყვარვარ? არა? ხა, ხა, ხა! რა სულიერი ვარ!?

**სანდ.** მაშ, მითხარი, რა ვქნა? რა?

**თამ.** მომშორდი, გაიქეცი, ნუ, ნუ! ყურს ნუ უღღებ ჩემს ტანჯვას! ნუ დაინახავ ჩემს ცრემლებს! წადი! ნუ იშლი ნერვებს (დაცინვით) ჩემო სანდრო! (ცრემლ მარეული) ხა, ხა, ხა!

**სანდ.** არა, სჯობს წავიდე! შემდეგ, რო- ცა დამშვილდები... აგრე სჯობია! (ზალტას იგვამს)

**თამ.** (აღვსნეული ცრემლ-მარეული მღერის, გულის ამღვრეუ ხმით)

ალარ ვიცი რა მატირებს,  
სიმძულვარე, სიყვარული?!  
რომლით მეტად იტანჯება  
საცოდავი ჩემი გული?

(მღერის და თან უხვად ჩამოსდის ცრემლები. სიმ- ღერით მიუახლოვდება სანდრას, აკანკალებული ხმით გაიმეორებს)

რომლით მეტად იტანჯება  
საცოდავი ჩემი გული?

**სანდ.** დამშვილდი, თამარ! არა გრცხვე- ნია? ეგრე რათ იტანჯები? (უნდა ისევე გაიხადოს ზალტა)

**თამ.** (მიჯარდება, ან ახდევინებს) არ გაიხა- დო! შენ წასვლა გინდოდა! მაშ წადი! წადი! თუ გინდა გაკოცებ! ჰა... (მიუახლოვდება სკოტ- ნულად. სანდრა ხსნად მოამარებს თამარს) მაშ, კოცნაც არ გინდა? ხა, ხა! გეზიზღება განა?

**სანდ.** (მეტად შეწუხებული იქვე დაჯდება სკამზე. მოწყვეტილი ხმით) რა გინდა, თამარ?. რათ მაწვალებ? რათ იტანჯები? მოდი ჩემთან...

**თამ.** (ტირილით მიუახლოვდება სანდრას. ხსნად ეტევით, ეს უფრო უმატებს მას ცრემლს) სანდრო! სანდრო! (დაკუნდნობა თავით სანდრას მხარზე) მიშველე... მიშველე... უბედ...

**სანდ.** (აღვსნით) რითა ხარ უბედური? სთქვი! მე ხომ შემძლია გავიგო შენა სული კვებება! სთქვი! აბა რით გიშველო?

**თამ.** რა გითხრა? მე თვითონ არ ვიცი?! (მადლა ტირის)

**სანდ.** ნუ ბავშვობ, კარგია! როგორ იქ- ნება?.. განა მე უცხო ვარ შენთვის, რომ არ შეგძლია გულის ნადები გამიზიარო? აგრე რამ აგაღელვა?

**თამ.** სანდრო! მე ცული ვარ!.. ცული! ვგრძნობ, რომ ჩვენ ვერ შევთვისდებით!..

**სანდ.** მერე რა უყოთ? ეს გარემოება ღირს განა იმათ, რომ ცხოვრება მოიშხამო?.. შენი ქირი წამილია!

**თამ.** (აღება, მოშორდება სანდრას და თა- ვის ღაგანსე დაჯდება) შენთვის ეს არაფერია, ჩემთვის კი... მე ესა მკლავს! თუ სულიერი შეუთანხმებლობა შენ არ გაწუხებს და არც გა- ფიქრებს, ეს იმას ნიშნავს, რომ შენ მე არ გყვარებივარ!!

**სანდ.** ასეთ შემთხვევაში ჩემს გრძნობებს მსხვერპლად ვწირავ საღ გონებას, ვინაიდან თუ ფაქტია ასეთი სულიერი გაყრა, მას ტი- რილით, თუ რაიმე სხვა ასეთი საშუალებით ვერ უშველი! (უცებ ხუმრამის გაღაგე კადადის) ეს გაწუხებდა? ვაი, რა ჰაწია ბავში მყევხარ!! გულში (დამიღათ) ხომ არ მოგხვდრია კუბი- დონის ისარი? ჰაა...

**თამ.** ეს ხომ უსინილისობაა! ასეთი და- ცინვა! აი თუ განდა ეს აიღე! ამის შემდეგ როგორ შეგვიძლია ჩვენ ერთმანეთის გავიგოთ რამე? შენ ხუმრობ, როცა ჩემს გულში ცეცხ- ლია. არა, სანდრო, ეს შეუძლებელია!

**სანდ.** მაშ, როგორ გინდა? მეც ვიტყ- რო? როგორ გეკადრება?


**თამ.** (გულმოსული) არა! მოვშორდეთ! მოვშორდეთ ერთმანეთს! არ შემძლია! შენს გულცივობას საზღვარი არა აქვს!!

**სანდ.** მოვშორდეთ, თუ შენ გინდა!

**თამ.** შენა?

**სანდ.** (აუღელვებად) ჩემთვის სულ ერთია!

**თამ.** (ამ სიტყვებით გულმოკლული. თათქა თავისთავის) ჰაა, შენთვის სულ ერთია? (უცებ ადება. ხმა მადლა, გადაწვევით) მაშ ჩემო სან- დრო, გამოგანდა ორპირობა? თვალმაქცობა? მაშ იცოდე, რომ არ მიყვარხარ! მძულხარ!! ამდენი ხანა თურმე ნაღაბი გქონდა აფარებუ-



ლი და უსირცხვილოდ მატყუებდი... მატყუებდი!.. (ტრემლია შიშვით) ისარგებლე ჩემი შენდამი გრძობით და ახლა სულ ერთია შენთვის-რა მე და რა სხვა? (ტირის) უსინდისო! (დიდი ხნის ზეჟს. სანდრო ადგევს. ზანდროს მისწევს. სიტყვა ვერ უთქვამს. თამარი უცბათ წამოდგება და შეჭყვინტის) დამიბრუნე საბავლო, დამიბრუნე ჩემი ქალწულობა, ჩემი სიცოცხლე!! დამიბრუნე ჩემი მხიარულობა, სიკბუტე! მომავორე შავი ფიქრები, თამარი შეხედვა ჩემი, რომელიც მომტაცე შენ, ავაზაკო, დამიბრუნე!!! სიმშვიდე, უღარდებლობა, რაც ასე ქურდულად ამომგლიჯე გულიდან და მსხვერპლად შესწირე შენს პირუტყვობას... დამიბრუნე!! რათ გაჩუმდი? (ვერ შიშვით. ხმა დაუსუსტდება, დანე მისდის) სანდრო, რამ გაგაქვავა? (ტირის) ხმა გამე!..

**სანდ.** მიკვირს შენი საქციელი!! გესმის—რას ამბობ?

**თამ.** სანდრო! სანდრო! მეტი აღარ შემიძლია!

**სანდ.** ვერა გამიგია რა! გეფიცები ისევ მიყვარხარ!

**თამ.** არა გრცხვენია, რომ კიდევ სიყვარულზე ლაპარაკობ? მითხარი, რა ვქნა? რა ვქნა?

**სანდ.** ისა ჰქენ, რაც აქამდის!.. დამშვიდდი...

**თამ.** ისე მამშვიდებ, თითქო ბავშვი ვიყო...

**სანდ.** გარწმუნებ, სცდები! სულ უმიზეზოდ სტირი.

**თამ.** მაშ, შენი ჰაზრით, მე შემოიღო გყოფილვარ!

**სანდ.** მე ეს არ მითქვამს!

**თამ.** ვიცი, ვიცი! შენ მე ისე მიყურებ, როგორც არა ნორმალურს, გიჟს!

**სანდ.** არა—ღმერთმანი, არა!

**თამ.** ვიცი, ვიცი! შენ არ გყოფნის იმდენი სითამამე, ხასიათის სიმტკიცე, რომ პირდაპირ მითხრა...

**სანდ.** კარგია ერთი!.. ხვალ კიდევ მოვალ და მოვილაპარაკოთ! ახლა კი დამშვიდდი, დაიძინე!

**თამ.** (მეტად ნაწყენი) ჰო, წადი! შემოიღო თან დარჩენა მეტად ძნელია!... დავიძინო?! ხა, ხა! რა სულელი ვარ! რათ გელაპარაკები და თავს ვიმცირებ?.. წადი! (ადგება გასცილებლად)

**სანდ.** (ქედს დახურავს) მაშ!... (სულს გაუწვდის ჩამოსწოთქვად)

**თამ.** (ვერ ზირდაზირ შეხედავს ცუდგონით) ცუდგვ ზიზღით აღსავსე თვალებით ახედავს. სულს არ მისცემს. დამცირებელი ტონით ეტყვის) წადი, საბრალო!

**მანდ.** (თავს ვერ შეიკავებს) დიაციო!

**თამ.** დიახი დიაციო! დიახ!.. (კარბე მავადება) მიბრძანდი! დამე მშვიდობისა!

**სანდ.** შენი ბრალია!... მაშა...

**თამ.** მშვიდობით! (თვალებში უყურებს. ერთს თავის და უნებურად გააწევა სანდროსკენ, მაგრამ თავს შეკავებს. ხმას ძაღვს ატანს.) მშვიდობით! (სანდრო მიდის. თამარი მის თვალს არ აშორებს) სანდრო! (სანდრო მობრუნდება მისკენ. თამარი ისტერიკული ტირილით გადაეხვევა მას) სანდრო, სანდრო!

**სანდ.** (აღერსით) თამარ! თამარ! რა გემართება?

**თამ.** (მოშორდება) ახლი კი წადი!... (ვედრებით) წადი! (სანდრო გადის)

III

(თამარი დაჩქება თახში. თამარი მარტო ერთს ხსნს გაჩერებულა. მეტე წავა დოგინისკენ და მოწვევითი დაეცმა. დიდს ხსნს ასე რჩება. მეტე წამოდგება, ხელებს მაიდებს დოვასე, ცაღ ხელზე და მუხლზე დაეკრძნობს და შეჭყურებს ღამ-ზას. ზეჟს) საწყალმა დედაჩემმა რომ იცოდეს! მაგრამ არ იცის? დედამ არაფერი იცის!!.. არ იცის, რომ მისი გოგო უკვე... (ტრემლება შიშვით) ავაღზე, და ჩუმთ ქვითისს დაწეებს) დედა! დედი! თავს მოვიკლავ, დედა, და ამ ყოფაში ჩემს თავს მინც არ დავანახებ!! (დრმად ჩაფიქრება. უცბე წამოდგება, მავა მაგადის უჯრასთან. გამოსწევს და ამოიდებს სანდროს წერილებს სურათითურთ. ერთს ხსნს სურათს უყურებს) მე მიყვარს ეს სანდრო, და არა ის, რომელიც აქ იყო! განა ამას, ამ სანდროს, ჩემს სანდროს შეუძლია ჩემი გაუბედურება? სანდრო? (წერილს გახსნის და კითხილბს) „არა ქვეყნიურს სიყვარულს ვგრძობ შენდამი, ჩემო თამარ! როცა წარმოგიდგენ, ზეცას ვწვედები, ღვთაებას უერთდებ სულს და მივეფრინავ შენი სახით მაღლა ვარსკვლავთ სამეფოში! იქ ვვალესები ნაზ შუქს ზეცის მნათობთა, თითქო მათში შენ იყო გარეული!.. ჰმ! წარვიდენ, განქრენ განა ის ღრონი?.. როცა უყვარდი!... ახლა (თითქო



# სოპრა

რაც მაგონდება დაჰყვას დახვეწს წერილს) სისულელეა, სისულელეა! სისულელე! მე ის მიყვარდა! ახლა არ მიყვარს (ამ სატყვის თათქა შეაშინდება) განა არ მიყვარს? (ცოტა ხნის შემდეგ) მიყვარს! (თითქმის დაიკვივებს) მიყვარს!! ჩემი ბრალია, რომ ასე ვაწვალე!... წავალ ახლავ და ვეტყვი. (უნდა ჩაიფხვას) მარა ის რას იფიქრებს?... იქნება შეეძულდი!... „სულ ერთია“! (დასხუბებს თავს ჩაფხვას, მივა მაგადანთან, უნდა რამე გააკეთოს მაურამ ვერ ხერხებს. ერთ წიკსს გაშლის, მერე მეორეს... ვერც ერთს ვერ კითხულობს. მოქანცული გადაწვებს სკამის ზურგზე და ერთს ხანს ეგრე დაჩქება.) რა მემართება? ნუ თუ კიდევ ვერ მომიცილებია მონური, პსი-ოლოგია!! მადლობა ღმერთს, სრულიად თავისუფალი ვარ! იყო დრო! ახლა? ახლა რა დროს ჩემი დამოკიდებულებაა? (ფიქრის შემდეგ) რა უყოთ მერე? საყვარელ ადამიანს... (სიტყვას არ დასრულებს და მწარედ დაედრეკება სხვე წადგება) სულიერი მონობა, ზნეობრივი მონობა განა ასეთი ძლიერია ჩემში, რომ ტანჯვებს ბოლოს ვერ უღებ? (სისუსტე დაძმნული ნელა დაეშება სკამზე) სანდრო... არა, სანდრო არ მიყვარს! იგი შემძულდა მას შემდეგ... ა? (შეკვითხება თავს) ქვეყანამ ხომ იცის, რომ სანდროს და ემე ერთი მეორე გვიყვარდა!... მერე რა? იცოდეს (უცბე) ონ რა საზილარია ადამიანი!... (ტირილით) რა გულქვაა სანდრო!! (სუსტიკი გამომეტყველების მიიღებს, თითქო რაც იზავა.) მე კვლავ შევყვარებ თავს... შევყვარებ მთელის... ჩემის არსებით, და მერე გადაეუხდი მას! შურს ვიძიებ!... მარა? (ჩაფიქრდება. დიდი ხნის ზეუხა. ამასობაში სხვე ნელ ნელა ეცვლება: ტუჩები ოდნავ შესაძმნევად აუკანკალებიან, თვალებზე ცრემლი მოადგება. სკამის ზურგზე გადაწოდილი ზირდაზირ კედელს შეეუბებს. გულზე ხელები ჯვარად აქვს დაწოხილი, მოწოდილი ცრემლების გამო დადმუქად სხვეს იღებს. უამედ და უსასნო ხმით რა ვქნა? (ცრემლებით) რა ვქნა? (უძრავად, კედელს შეეუბებს ხელებ დაკრეფილი ტირის უხვად მოდიან ცრემლები ოდნავ გასავანად.) რა ვქნა.. რა?

ფარდა  
ლ. ქიაჩელი



გულს მოხვდა სიო, ცით მთა...  
გაისმა ჰიზნი სიმთა ეღერისა,  
მაგრამ... წარმტაცა ცრემლთ ნიაღვარმა  
სიზმარი ტკბილი, წამი შევებისა.  
სადა ხარ, სადა, ფიქრთა შეუფევი?!.  
მო, ამხსენ ჯაჭვი, ჯაჭვი მონების!  
ვაჰმე, მშვენებაე!.. ამაოდ გიხმობ!..  
ამოდ მწვავს ცეცხლი მწარ მოგონების!..

მიმქრალი

## ბატონო ლია წერილზე

ბატონო ლავრენტი წერეთელი! ჩემის მხრივ უზრდელობა იქნება უპასუხოდ დაესტოვო თქვენი ღია წერილი, ჩემდამი მომართული. ამის გამო მოგახსენებთ შემდეგს: „დედა-ენის“ უკანასკნელს ოცდა-მეათე გამოცემაში, რომელიც უკვე ათასობით მოიფინა საქართველოში, ოფოფი აღარ გაიძახის არც „კუკუსა“ და არც „პოპოპსა“. მთლათ დამუნჯებულია. და შემდეგშიაც მუნჯად დარჩება, რადგანაც „დედა ენას“ ჰირივით ეჯავრება ყოველი საეჭო რამე. და ეს დამუნჯება ახიც არის ამ ფრთოსანზე, რომელიც იმდენად გაურკვეველად ბურტყულებს, რომ ერთს ქვეყანაში ასე ესმით მისი ბურტყული, მეორეში ისე, მესამეში სხვაფრივ და სხვანი. არა ჰგავს გუგულსა, რომელსაც ერთსა და იმავე გარკვეულს ხმას მკაფიოდ გაიძახის ყველგან და მოგაგონებს ინტელიგენტს, რომელიც მტკიცედ და ცხადად ადგია ერთსა და იმავე მიმართულებასა ყველგან და ყოველივეს.

თქვენ, ბატონო წერეთელი, თქვენსას მაინც ნუ დაიშლით, აბძანდით თქვენს ახალს სამშობლოში—შინდისში, ახალი, დაწვრილებითი გამოძიება მოახდინეთ შინდისელი ოფოფის ხმაურობის შესახებ, ნოტებზე გადაიღეთ მისი ბურტყული, გრამოფონშიაც ჩაბეჭდეთ, როგორც ეს გირჩიათ „სახალხო გაზეთის“ ასოთამწყობმა და გამომამზევით გამოაქვეყნეთ. და ყველა პედაგოგს, რომელიც ისარგებლებს თქვენი აღმოჩენით, გადაახდევინეთ თქვენი ასი თუმანი, არც მეტი და არც ნაკლები.

იაკობ გოგებაშვილი

\*) ბატონო რედაქტორო! ეს პატარა წერილი გავგზავნე დასაბეჭდად, „სახალხო გაზეთში“ სადაც იყო მოთავსებული. ბ-ის წერეთლის ღია წერილი მაგრამ რედაქციამ არ ინება მისი დაბეჭდვა, მართალია თვით მან, რედაქციამ, სამასხარო კული გამოაბა წერეთლის წერილს ასოთამწყობისა სხოლიოთი, მაგრამ ეს მაინც მე უფლება არ მძღვეს უპასუხოდ დაეტოვო ღია წერილი და ას ვუძღვნა ღიავე პასუხი ბ-ის წერეთელსა. ამის გამო გთხოვთ ეს ჩემი რამდენიმე სტრიქონი მოაქციოთ თქვენს ეურნალში.

იაკობ გოგებაშვილი


# მ ი მ ი კ ა

(გაგრძელება იხ. „თ. და ცხ.“ № 37)

დაჯდომილი მდგომარეობა ძალიან ბევრია, და ჩვენ არ შეგვიძლიან ეველა გავარჩიოთ. მოგვცემთ სკეროთა დარიგებებს:

1) ერთდეთ გეჭირათ წელი ძალიან სწორედ, რადგან ეს ღამისი არ არის, და ადამიანს მანქანის ამგვანებს.

2) ერთდეთ მუხლები ძალიან განზე გაწევას. როცა სწორედ ზიხართ, არივე მუხლები ერთს ხაზზე და ერთმანეთზე მიტეხული გაქეთ და შელავ მიტეხული ხართ, ეს ნიშნავს:




ფიგ. 19

მორცხეობას, ცდას ზატვიისცემით. როცა თქვენ ისევე ხართ, როგორც ესლახან, იმ განსხვავებით, რომ სკამის კიდეზე ზიხართ (ფიგურა 19), ჰნიშნავს ზემო აღნიშნულ სიტუაციებს, მხოლოდ გადაჭარბებით.

ასეთი მდგომარეობა კომიკურია.

როცა ზიხართ, ზურგ გადაქცეული, მუხლები, ძალიან გაწეული ერთი შედარესგან (ფიგურა 20) იხსტავთ:



ფიგ. 20

ეულგარობას, უზრდელობას.


ზურგი წინ გადმოწეული, მკლავები დაბჯინილი მუხლებზე, მუხლები გან-გან გაწეული, ჰნიშნავს ზემო სენებულ სიტუაციებს, ე. ი. უზრდელობას, ხატავს ადამიანს, რომელსაც ფეხებზე ჰკიდიო ზრდილობა.

სკეროთად ეს არი უკანასკნელი მდგომარეობა, ჰხატავს ძალიან უბრალოდ, სიძაგლად აღზრდილს ადამიანს.


როცა შეესება თავის დაკვრას, ჩვენ აქ ვაღაზნარაკეთ იმდენად, რამდენადაც ეს მოქმედება

ესება კანკებს და ფეხებს. რაც შეესება სხვის გა- მომეტეველებას, ამზე შემდეგ გვეჩვენება სკეროთა ცერემონიალური თავის-დაკვრა შესდგვის (მა- მაკაცისთვის) არი მოქმედებისგან: მოსამზადებელი მოქმედება, და თავის დაკვრის მოქმედება...

ფეხები გიდგათ ერთს სწორე ხაზზე (ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ეს მდგომარეობა ჰნიშნავს ზატვიის ცემის), მოსამზადებელი მოქმედება მდგომარეობს ერთ-ერთი ფეხის განზე გაწევაში, 25—30 სანტიმეტრი—(ფიგ. 21), შემდეგ უნდა დაბჯინოთ მთელი თქვენი სხეული ფეხზე, რომელიც განზე გასწიეთ (ფიგ. 22). მოქმედება თავის და-



ფიგ. 21



ფიგ. 23

კვრის მდგომარეობს იმაში, რომ ფეხი, რომელიც თავისუფალი დარჩა, მიუხალოთ გაწეულ ფეხს, ამასთანავე ქუსლები ცოტათი მაბჯინოთ ერთი შედარეს.

თავის-დანარ უნდა იმ წამსვე,—როცა ქუსლების მაბჯინოთ (ფიგ. 23).

დიდი თუ ზატარა ზატვიის ცემა გამოიხატება თავის ბევრად თუ ცოტათ დანაში.

ქალისთვის მოსამზადებელი მოქმედება ისეთივეა, როგორც მამაკაცისთვის (იხ. ფიგურები 21, 22).

გიორგი ჯაბადარი

(დასასრული იქნება)

## სათეატრო მიმოხილვა

ჭართული თეატრი

„სამშობლო“, ისტ. დრამა დ. ერისთავისა

წარმოდგენა № 1—2, 26 ენკენისთვის.

ხშირათ ისმოდა და ისმის რომ ქართულ თეატრს საზოგადოება არ ეტანება. ამ უსიამოვნო მოვლენას ბევრი მიზეზები აქვს, მაგრამ ერთს უმთავრეს მიზეზად ისიც უნდა ჩათვალოს, რომ ქართულ თეატრს თბილისში ძალიან ბევრი კონკურენტი ჰყავს. საზოგადოების თეატრში მოსაზიდათ დრამატიული საზოგადოება და მისი დასი ყოველი მხრით უნდა სცდი-

ლობდეს კონკურენცია გაუწიოს ყველას თუ არა, რუსულ დრამას მაინც. ამას კი, სხვათა შორის, ის უნდა, რომ პიესის დადგმას, მის მოწყობას, ანსამბლს უდიდესი ყურადღება მიექცეს. ეს გარემოება ერთ უმთავრეს ფაქტორათ ითვლება თანამედროვე სასცენო ხელოვნებაში და ჩვენც დიდის გულდასმით უნდა ვეკიდებოდეთ, მით უფრო, რომ სწორეთ უანსამბლობა, პიესის დაუვირებელი დადგმა ყოფილა აქამდის ჩვენი უმთავრესი ნაკლი. საქირთა, მთელმა პიესამ, ყოველმა მონაწილემ, დიდია იგი თუ პატარა, სიტყვიანი თუ უსიტყვო, სრული, ერთიანი შთაბეჭდილება მოახდინოს მაყურებელზე და ისე არ გამოუშვას თეატრიდან, რომ იძახდეს: ივანე კარგი იყო, ნიკიურათ აასრულა თავისი როლი, მაგრამ სხვები კი ღმერთმა შეინახოსო. მარტო ნიკი, ტალანტი კი არ უნდა სტოვებდეს შთაბეჭდილებას, არამედ მთელა პიესა, ყოველი მისი ამსრულებელი. აი, მაშინ შესძლებს ჩვენი თეატრი სხვების კონკურენციის გაწევას და ქართველიც ქართულ თეატრს უფრო მიეტანება.

ამ მხრივ პირველი ქართული წარმოდგენა თათქმის სამავალითოდ უნდა ჩაითვალოს, რადგან ი ი იმის თავდებია, რომ, თუ რასაკვირვებელია, საქმე ასე გაგრძელდა, ქართული თეატრი განახლების გზაზე დადგება.

დრამატული საზოგადოების გამგეობა და მთელი მისი დასი გულდასმით ემზადებოდა სეზონისათვის და ეს თავისი მომზადება მან წარსულ კვირას საზოგადოებას დაანახვა კიდევ. სეზონი ტრადიციული „სამშობლოთი“ დაიწყო. თუმცა „სამშობლო“ საკმაოდ დაძველებული და ნანახი პიესაა, მაინც ძალიან კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მაყურებელზედ, დასტოვა შთაბეჭდილება უფრო იმიტომ, რომ მისი დადგმისათვის, სცენის რიგიანათ მოწყობისათვის დიდი ყურადღება მიექციათ. მრავალჯერ გვიანახვს ეს პიესა სცენაზე, მაგრამ ასე კარგათ, ასე შნოიანათ—არც ერთხელ. ამ პირველმა წარმოდგენამ თვალნათლივ დაგვანახვა, რომ ხმები მუყაითს მუშაობაზე მართალი ყოფილა რომ საქმის მეთაურნი ენერგიულათ მუშაობენ და ენერგიული მუშაობა და მისი საჭიროების შეგნება-კი საქმის წინ სვლის ჭეშმარიტი თავდებია.

ახნადა თუ არა ფარდა, მაშინვე მაყურებლის თვალმა სიამოვნება იგრძნო დეკორაციის და საერთოდ სცენის მოწყობის დანახვით. ყოველი კუთხე, ადგილი, გაზომილ, აწონ-დაწონილი, ყოველი სცენაზე მონაწილეთა თეფრის ალაგას, საზოგადოდ ყოველი მოქმედება მშვენიერად იყო მოწყობილი, როგორც ხელსაწყოთი, ისე დეკორაციებითაც. ძალიან ლამაზი და სტილ დატული იყო მეორე და მესამე მოქმედება—ლეონიდის სახლი და შაჰის დარბაზი.

როგორც ვთქვით, ყველა მოქმედება დიდის მოფიქრებით, გულდასმით იყო აწონ-დაწონილი და სწორედ ეს უნდა იყოს მიზეზი, რომ „სამშობლომ“ შაბლონურათ არ ჩაიარა, რომ იგი განახლდა წარსულ კვირას ჩვენს სცენაზედ და სასიამოვნო შთაბეჭდილება დასტოვა ყოველ მაყურებელზედ. ამ პიესის რეჟისორმა ბ. შალიკაშვილმა დაგვანახვა „სამ-

შობლოს“ დადგმით, რომ მას საქმე ესმის, შობა უფარს და თამამათ შეუძლიან საქმე წინ წასწიოს დასწივის ამხანაგებს გონივრული ხელმძღვანელობა გაუწიოს.

იყო პატარა ნაკლიც, მაგრამ ყველაფრის ერთის მოქნევით, ერთბაშათ დაძლევა ძნელია და ამიტომ დიდს ყურადღებას არც კი ვაქცევთ. მაგალითათ შემოაქვთ მაშხალები—სცენას სინათლე ეფინება და თვით მაშხალებს კი ძლივს ჰხედავს კაცი, ისე ძლივს ბეჭუვენ იგინი. ან თოვს, ზამთარია და ქლექი ქალი კი, რომელსაც ექიმები თერაწნი გზავნიან, რადგან აქცივა, საზოგადოლოთ გამოწყობილი დიღომს მიდის სასეირნოთ, ან იქნება ეს ავტორის ბრალი უფრო იყოს ვიდრე რეჟისორისა? მაგრამ რეჟისორმა ხომ ავტორის დეფექტიც უნდა გაასწოროს!

პიესის თამაშობაზედ ახლა ბევრს არას ვიტყვი; არ ვიტყვი იმიტომ, რომ პირველი წარმოდგენა ყოველთვის აღელვებასთანაა დაკავშირებული. ამას გარდა საზოგადოებაში აქ-იქ წარმოდგენის ღამესვე ისმოდ, რომ ზოგი მსახიობი უქეიფოთ იყო (ვ. გამყრელიძე), ლეონიდის და ქეთევანის ამსრულებელნი უკეთესათ მოთამაშენი გვიანახვს არა ერთხელ, ამ სადამოს კი რაღაცა უგულობა ეტყობოდათ. ქნ დავითაშვილს კარგა ვიცნობთ სცენაზედ, ვიცით რომ ქეთევანის როლი მისი არ არის, მაგრამ უწინ უფრო კარგა აუსრულებია ეს როლი, ახლა კი გრძნობა აკლდა. ბ. გუნიასგანაც მეტს მოველოდით, იმიტომ რომ უფრო უკეთ უთამაშნია ეს როლი.

ძალიან კარგი იყო ქნი ლეჟავა ფაიხომის როლი. ისეთი ნაზი, ავადმყოფობით მისუსტებული, განუზომელი სიკეთით და სიყვარულით აღსავსე ფაიხომი დაგვიხატა ქმა ლეჟავამ, რომ თავისი თამაშით სრული სიამოვნება გამოგვაცდევინა.

რაიცა შეეხება ბ. მდივანს, ლევან ხიმშიაშვილის ამსრულებელს, მხოლოდ ის უნდა ვთქვათ, რომ გვიკვირს ლევანის როლში რათ გამოვიდა პირველათ. ეს როლი ბევრს მასალას არ აძლევს მსახიობს თავის ძალა და უნარი მთლათ გამოიჩინოს, იგი პატეტური და ხშირათ ამსრულებელს ყალბს მდგომარეობაში ავლებს. გარეგანათ ბ. მდივანს ყველაფერი ხელს უწყობს. რიგიანი ადგილის დასაჭერათ ჩვენი სცენის მუშაკთა რიგში: ამაზედ გადაჭრით შემდეგ მოვილაპარაკებთ, როცა მას სხვა უფრო კარგს როლებში ვნახავთ. ახლავი თავისი პირველი გამოსვლით რიგიანი შთაბეჭდილება მოახდინა, თუმცა ნაკლიც ჰქონდა. უმთავრესი მისი ნაკლი ის იყო, რომ ძალიან მაღალი ტონი აიღო, იქამდი მაღალი რომ ბოლოს იძულებული იყო ყვირილზე გადასულიყო. ის ადგილები საცა იყო ქეთევანს თავის სულის კვეთებას, ტანჯვას, მწუხარებას უცხადებს ისე რიხიანის ხმით იყო წარმთქმული, რომ მუქარა ისმოდა მხოლოთ. მიმიკა-კი ძალიან ნაკლებათ იღებდა მონაწილეობას სულის კვეთების გამოხატვაში. როგორც ვთქვით ლევანის როლი დიდს მასალას არ აძლევს უნარის გამოსაჩენათ, ამიტომ დაუცდით ისეთს პიესებს, როცა ბ. მდივანი თავის უნარს და ნიქს უფრო გაშლით და აშკარად დაგვანახვებს.

ალსანიშნავია მეორე ხარისხიდან როლების აღმა-  
სრულბელი: ნ. გვარამია, გ. არაღელს, ი. ივანიძეს,  
ვ. მატარაძეს. შეგნებით და შესაფერად ეჭირათ თავი  
ყოველი ნაბიჯი და სიტყვა გაზოვილ-აწონილი ჰქონ-  
დათ. მასიური სცენები კარგათ იყო მოწყობილი, ხო-  
ლო ვერაფერი მოხუცი იყო ლიტანიის სცენაში  
ერთი პატარა როლის აღმსრულებელი, რომე-  
მელიც უსიამოვნო ხმით ამოიძახებდა ხოლმე სიტყვებს:  
იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ასეთი წვრილმალ ნაკლს  
მალე აიცილენ რეჟისორნი.

საზოგადოება წარმოდგენას ბლომათ დაესწრო.

**არავინ**

**სახალხო სახლი**

**ხუთშაბათს, 30 სექტ.** წარმოდგენილ იქნა  
„ლალატი.“ დიდძალი ხალხი დაესწრო. პიესამ საშუა-  
ლოდ ჩაიარა. ამ წარმოდგენის შესახებ ედმონდ კინის  
რეცენზია მომავალ ნომერში დაიბეჭდება.

**ქუთაისის თეატრი**

**კონცერტი აპოლონ სამსონიასი.** 23 ენკენისთვის,  
ადგილობრივ თეატრში, ახალგაზდა მომღერალმა, ჯერ  
კიდევ მოწაფემ აპოლონ სამსონიამ გამართა კონცერტი  
ქ-ნ ნ. ქიქოძის (პიანისტკა), მ. ქორიძის (ვიოლონჩე-  
ლი), დ. მესხის და გრ. გიგინეიშვილის (დეკლამაცია)  
მონაწილეობით.

ბ. კონცერტანტი ძლიერ სუსტი და გამოუცდე-  
ლი გამოდგა... საკვირველია ღმერთმანი ასეთი სითა-  
მამე: უსწავლია რაღაც ორი—სამი რომანსი, ისიც  
„Подъ слухъ“ და კონცერტს მართავს... სწავლა არის  
საჭირო, მუსიკალური სრული განათლება, ბ-ნო სამ-  
სონია!.. ჯერ ადრეა თქვენთვის გვირგვინები, ყვავი-  
ლები და ტაშის ცემა: ამან ბევრი თქვენისთანა ახალ-  
გაზდა, კარგი ხმის პატრონი იმსხვერპლა.—რაც შეეხება  
ხმას, ტბილი და საამოდ სასმენი დაბალი ბარიტონი  
აქვს...

კარგად დაუკრა მ. ქორიძემ ვიოლონჩელზე, რო-  
ილის აკომპანიმენტით. საზოგადოებას ძლიერ მოე-  
წონა და ბევრჯერ გამოიწვია დ. მესხმა წაიკითხა  
რამდენიმე სცენა დღიურ-ჭირ-ვარამზე, კარგი და მოს-  
წრებელი იყო. გ. გიგინეიშვილი: წაიკითხა საკუთარი  
ლექსი შ. რუსთაველისადმი.

საზოგადოება ბლომად დაესწრო,

**დ. ჩარკვიანის წარმოდგენა.** კვირას, 26 ენკ. გა-  
მართა გამოსათხოვარი (?) წარმოდგენა მსახიობმა და-  
თიკო ჩარკვიანმა. ითამაშეს კარევის პიესა „ცხოვრე-  
ბის გმირი“ და ვოდ. „მოჩვენება“. მონაწილეობას  
იღებდნენ სცენის მოყვარენი. კარგია ბ-ნი ჩარკვიანი  
პეტას როლში. ის ჩვენ ბევრჯერ გვინახამს, მაგრამ  
ამ საღამოს მის თამაშს მეტი ცეცხლი და ხალისი ეტ-  
ყობოდა. საზოგადოებას ძლიერ მოეწონა.

დანარჩენებზე არას ვიტყვით...

პიესა სუსტად იყო დადგმული, ეტყობოდა, რომ  
რეჟისორს მაინცა და მაინც თავი არ შეეწუხებინა.

თეატრი თითქმის სავსე იყო, ბ-ნი ჩარკვიანი  
ბევრჯერ გამოიხმეს.

„მარუჩა“ ქუთაისში, დღეს, წარმოდგენილი  
იქნება პირველად ქუთაისის სცენაზე პ. ყიფიანის პიესა  
„მარუჩა“. უმთავრეს როლს ასრულებს ახალად მოწ-  
ვეული მსახიობი ქალი ა. ქიქოძე.

**საღამო დრამ. საზ. სასარგებლოდ.** ქუთაისის  
დრამატული საზოგადოება თავის ფონდის გასაძლიე-  
რებლად, ამ მოკლე დროში, გამართავს საღამოს, რომ-  
ლის პროგრამმა ძლიერ საინტერესო და რთული იქნება.

**დასრულდა ქალაქის თეატრის რემონტი.** ბევ-  
რი რამ შეაკეთეს, შედგეს მთელი თეატრი, პარტერს  
გაუკეთეს კარები, შეაკეთეს ელექტრონი, მიუმატეს  
საპირფარეშოები არტისტებისათვის და ფოე.

**ახალგაზდა მუსიკოსს კ. ფოცხვერაშვილს**  
ჭიათურის მარგ. სიუზდმა დაუნიშნა სტიპენდია 50 მ.  
თვეში თუ ის სწავლას განაგრძობს. ბ. ფოცხვერაშვი-  
ლი ამ დღეებში მიემგზავრება რუსეთს. **ბიჭი ბიჭი**

**წვრილი ამბები**

◆ **დღეს ქართულ თეატრში** წარმოდგენილ იქ-  
ნება პირველად ახალი პიესა „მზის ამოსვლამდე“, დრ. ნ  
მ. ჰაუტმანისა, თარ. დავ. ნახუტურიშვილისა.

◆ **ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის ორმაჯის წირ-  
ვა და პანაშვიდი** დრამ. საზ. გამგეობისა და მსახიო-  
ბთა თაოსნობით გარდახდილ იქნება დღეს ქაშვეთის  
ეკლესიაში. დასაწყისი დილის 10 საათზე.

◆ **ქარ. დრ. საზ-ის გამგეობის** დადგენილე-  
ბა იმის შესახებ, რომ ყოველი წარმოდგენა სწორედ  
გამოცხადებულ დროზე დაიწყოს და ფარდის ახდის შე-  
მდედ დარბაზში აღარავინ შეიშვას — უკვე აღსრულე-  
ბაში მოჰყავთ.

◆ **ახალი დეკორაციების დასახატავად** ქართ.  
დრამ. საზ-ის გამგეობის-მიერ მოწვეულია განსაკუთრე-  
ბული დეკორატორი-მხატვარი, რომელსაც ხელმძღვანე-  
ლობენ ჩვენი მოქანდაკე ი. ნიკოლაძე და გრინვესკი ეს-  
კიზებისა და მაკეტების მომზადებით.

◆ **ჩვენს დრამატურგს ნ. შიუკაშვილს** წე-  
რილით მიმართა ქარ. დრ. საზ. გამგეობამ და სთხოვა  
ნება მოგვეცით თქვენი პიესები წარმოდგენილთ თქვენც  
დაგვეწარით წარმოდგენაზე. პატივცემულმა ავტორ-  
მა პიესათა წარმოდგენის ნება დართო, ხოლო სამსა-  
ხურის გამო ვერ ჩამოვა.

◆ **როგორც შევითქეთ** ნ. შიუკაშვილს კიდევ  
სამი ახალი პიესა დაუწერია.

◆ **სალიტერატურო-სამხატვრო საღამო მეჯ-  
ლისი** გაიმართება სამშაბათს, 5 ოქტ. ქართულ თეატრში  
საღამოს პროგრამა ფორად საკულისხმოა და რამდენიმე  
განოფილებისაგან შესდგება. მონაწილეობას მიიღებენ  
აკაკი, კნ. ჩიქოვანისა-ქუთაისიდან, სლეზინის და სხვა.

◆ **„ნაძალადვის“ სცენის მოყვარეთა ჯგუფ-  
მა**, რომელმაც შესაფერი წესდება შეიმუშავა და აღ-  
გილობრივს მართველობას დაამტკიცებინა, — 28 ენკე-  
ნისთვის შეიკრიბა და გამგეობა ამოირჩია. როგორც  
გადმოგვცეს ჯგუფი ამ მოკლე ხანში დაიწყებს მოქმე-  
დებას.

◆ ავღაბრის სცენის მოყვარეთა ჯგუფმ წესდება შეიმუშავა და დასამტკიცებლად წარადგინა კიდევ, სადაც ჯერ არს.

◆ ი. უივიძემ სთარგმნა ბიენსტერნე-ბიერნ-სონის პიესა «ჩვენს ძალღონეს აღმატება.»

◆ ახალი პიესა „სატანა“, რომელიც პარას-კევს უნდა წარმოდგენილიყო, დეკორაციების მოუმზადებლობის გამო გადაიდო. ცდილობენ პიესის პროლოგი საუცხოვოდ დასდგან, — საიმისოდ განსაკუთრებული დეკორაციები იხატება.

◆ ამ ერთი კვირის განმავლობაში ქართულ თეატრში, „სალამო“ გარდა, წარმოდგენილ იქნება „გამხმარი ფოთოლი“ და «სატანა.»

◆ პირველი უფასო წარმოდგენა გამართა ნიკოლინმა 1 ოქტომბერს, პარასკევს წარმოდგენილ იქნა „Бѣдность не пороку.“

**რ უ ს ე თ ი**

◆ აკრძალულ იქმნა არციბაშევის „სანიინდან“ გადმოკეთებული პიესა „როგორ ვიცხოვროთ?“.

◆ უსაქმოდ დარჩენილ მსახიობთა რიცხვი მოსკოვში 500-ღვა.

◆ ორი სტიპენდია დაარსა პოლაკის სამუსიკოდრამატიულ და საოპერო კურსთა გამგეობამ ვ. თ. კომისარჟევსკის სახელობაზე, — საქალო და სავაჟო.

◆ ერთი საწოლი იღმება მოხუც მსახიობთა თავშესაფარში მ. ბ. საღვსკის სახელობაზე.

◆ პიესის «ტარნოვსკის გასამართლება» აკრძალა თავრიდის გუბერნატორმა. ანტრეპრენიორმა განასაჩივრა შინაგან საქმეთა მინისტრთან, რომელმაც გადაუქმა გუბერნატორის განკარგულება.

**სულ ბაწა შენიშვნა\*)**

შენი ჭირბე რედაქტორა! ეს ზაწა შენიშვნა დამიბეჭდე სდამე თქვენ პატივცემულ ჟურნალ „თ. და ც“ ში. თუმც ეს შენიშვნა სხუშრო და არც ზაწა არის, მაგრამ ასეთე სჯობია მაინც, ვშიშობ გული არ გაუტყდეს ზოგიერთ ახალგაზდა ზოეტს. საქმე შემდეგშია: თქვენი ჟურნალის მე 5 №-ში ი. მჭედლიშვილის ლექსია (ელეგია) მოთავსებული, რომლის ნახევარზე მეტი მოუტაცია (უფრო გასაგებათ რომ ვსთქვათ, მოუზარნა) ვი-დაც ა. გაფრინდაშვილს იმავე სთაურით, წასულა, შენი ჭირბე, და გამოუჭამავს „სახალხო გაზეთი“ მე 106 №-ში. თქვე დალოცვილებო, რედაქტორებო და რედაქციებო, ცოტა თვალიურა ადევნეთ ასეთე მოზარვის მოვლენებს, თორემ აწი მეტ დაწაწეებ ზოეტობას და მერმე გვიან და იქნება. მუხის მო-

\*) ვებეჭავთ სრულიად შეუსწორებლად. ამასთანავე მოვახსენებთ პატივცემულ ასკ. პრაკოფიას, რომ ამ შემთხვევაში „რედაქტორ-იზდატელები“ თითონ იმდენად დანაშაულში არ არიან, რამდენადაც პლაგიატ — ავტორნი. ყოველმა ავტორმა თვითონვე უნდა დაიცვას ლიტერატურული სიფაქიზე. რედ.

ზარც თუ შეიძლება, აღარ შეკანს დასწავლეს რაკი ვნახე ჩემი თვალით, აღარ მიკვირს, რომ მოზარულმა მუხამ რომ მალე გაფრენა იცის, ამაშიც მალე დარწმუნდებო გაფრინდაშვილი. მეტს არას ვამბობ, გაფრინდაშვილს ექვინება და ვშიშობ ზოეტობას არ დაახუბოს თავი. დასასრულ ვთხოვ მატევერეულ ი. მჭედლიშვილსაც შეამაწმას რამდენად სმართლიანია ჩემი შენიშვნა.

ასა ასეთე, რედაქტორ-იზდატელო, დაბეჭდე ეს უსთოეთ, არ გამაწილო, თორემ მეორე კვირში მეტ იმისთანა ლექსს გავაშნაშლე და გამოგიგზავნი, რომ ამას იტყვიოთ: ამას, ვინც არის, ზოეტის ნიჭი ადმოჩენიაო.

ასკ. პრაკოფია  
მწიგნობრობა

„სიტყვები და წერილები ყოვლად სამღვდელლო აღექსანდრეზე, შეკრებილი და გამოცემული ზ. ჭიჭინაძისგან“. წიგნი ფართე ტანისა, შეიცავს 119 გვერ. დაბეჭდილია ფრად კარეს ქადაღდზე, ვენის ასთია. ფასი 30 კ. როგორც სთაური გვიჩვენებს, ამ წიგნში მოთავსებულია ებ. ალექსანდრეს კარდაცვალების გამო წარმოთქმული სიტყვები, კანსვეხებულია ყოვლად სამღვდელლო ალექსანდრეს სურათი და ცხოვრება-მოღვაწეობის მოკლე აღწერა და მოგახებანი.

„ჯეჯილი“, №№ 7-8 (იგლის—ავგისტოს) ფრად შინაწინასადა შედგენილია. ჟურნალის შესუქუნს ამ ნომერში მოუთავსებია, როგორც მცირე წლოვანთა აგრედვე მოზრდილთათვის სკაითხავი მასლა, ორიგინალური და ნთარმგნი; ლექსები და წერილი ამბები, სამეცნიერო და სლიტერატურო ნაწილი სუცხოვოდ არის შესამებული. ყოველს ამბავს დიდის სიამოფებით წაკითხავს მკითხველები. ამ ნომერში, სხვათაშორის, მოთავსებულია: ან. წერეთლის ნთარმგნები — „ანწივის ფიქრები“, „თავი კერძა დევი“, „სეპასტან გომევი“, ბ. გულანს ორიგინალური ამბავი „დარაჯი ბათუ“, ე. კ — „პატარა გმირი“ (სომხურიდან), აღ. ნთადისა — „ბიძის ნამბობი“, აღ. ჭიჭინაძის — „ცხელი ქვეყნის გველები“, ასთათხი — ჩეკურფის „მრამშია ბეღბიურება“, ლექსები დ. თურუნშირელისა, ვ. რუხაძისა, გ. ქუჩიშვილისა, ნეკრდამები, საქრთველას ისტორია (გაგზხელებს) ს. გორგაძის და მრ. სხვ. ჟურნალი დასურათ — ხატებულია, შეიცავს 96 გვ. ცალკე № დირს 40 კაპ.

**წერილი რედაქციის მიმართ**

ბ-ნო რ-რო! უმორჩილესადა ვთხოვთ გამოაცხადოთ, რომ თქვენს ჟურნალში მოთავსებული (ელმონ დ-კი ნი ს-მიერ ხელმოწერილი) რეცენზიები, რომელთაც ალიაქოთი გამოიწვიეს ზოგიერთ სკენისმ მოყვარებში — მე არ მეკუთვნის\*). ნ. ჭანკვატაძე

\*) ვამოწმებთ, რომ ხსენებული რეცენზიები ნ. ჭანკვატაძეს არ ეკუთვნის. რედ.

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი



# ქართული თეატრი

კვირას, 3 ოქტომბერს

პირველად ახალი პიესა ჰაუზტმანისა

## მზის ამოსვლა

დრამა 5 მოქმედებად. თარგ. ნახუცრიშვილისა

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ

რეჟისორი ვ. შალიკაშვილი.

აღზიდვის ფასი ჩვეულებრივია

### მეორე კვირა

#### სატანა

ი. გოდინისა—თარგმ. ვ. შალიკაშვილისა (პირველად ახალი პიესა), ახალი დეკორაციებით და ახალი ტანსაცმით.



#### გამხმარი ფოთოლი

ნ. შ. — პირველად ახალი პიესა.

რეჟ. ვლ. აღ-მესხიშვილი.

წარმოდგენის დაწყების შემდეგ თეატრის დარბაზში არავის შეუშვებენ, ამიტომ თეატრის დირექცია სთხოვს დამსწრეთ უსათუოთ მეორე ზარის შემდეგ ყველა თავ-თავის ალაგას დასდნ ქართული დრამატიულ საზ-ის გაჩვენება

თბლისის წიგნის მაღაზიებში ისყიდება

## გ. მ. თუმანიშვილის

წიგნები:

### Характеристики и воспоминанія

(А. Казбек.— Зур. Антонов.— А. Цагарели.— Кн. Раф. Зристов. кн. Ил. Чавчавадзе.— Г. Н. Сундукіанць.— Максимъ Горкій.— Воспоминанія объ основанія постоянной грузинской сцены и пр.

3 выпуска, цѣна каждаго 50 коп.

Типографія „ГЕРМЕСЬ“ Мухранская, № 13.

